

ეკოლოგები „ნენსკრა ჰესზე“ ობიექტურ გეოლოგიურ დასკვნას ითხოვენ

- 13 ნოემბერი 16:30
- საზოგადოება



"მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი მიიჩნევს, რომ ნენსკრა ჰესის პროექტის შესწავლა არა კომპანიის მიერ დაქირავებული კერძო ექსპერტების მხრიდან არამედ საერთაშორისო, დამოუკიდებელი სპეციელისტების შესაფასებელია.

გარემოს დამცველს შიანია, რომ ეკომიგრანტების პრობლემა ერთერთია მათ შორის, რასაც სვანეთში გიგანტური ჰესი აშენება შექმნის.



"ძნელია იმის თქმა გაიზრდება თუ არა ეკო მიგრანტების რაოდენობა ნენსკრა ჰესის გამო, ნენსკრა ჰესის პროექტს ყველანაირი საფრთხე შეიძლება მოჰყვეს. თუმცა ეს არის შესწავლის საკითხი. ჰესი, რომელიც ცვლის მიკრო კლიმატს და დიდი ალბათობით გააქტიურებს გეოლოგიურ პროცესებს, რა თქმა უნდა, ეს საფრთხეს უქმნის იგივე ჭებურის თემს ქვემოთ. ამ მიმართულებით პროექტში შესწავლები არ არის გაკეთებული და აუცილებელია რომ მოხდეს მისი შესწავლა. დოკუმენტებში საუბარია იმაზე, რომ ყველაფერი იქნება კარგად, მაგალითად ჩავიხედავთ კვლევაში და ვნახავთ, რომ ზემოქმედება არ მოხდება დავუშვათ თევზებზე, ისეთ საკითხებზეც კი არ არის წესიერად შეფასებული რაზეც ბუნებრივად ექნება ვთქვათ უარყოფითი ზემოქმედება, რაც შეეხება არგუმენტს, რომ საერთაშორისო ექსპერტები ასკვნიანი - უკაცრავად, მაგარმ იგივე საერთაშორისო ექსპერტები და აზიისა და ევროპის განვითარების ბანკი იყო ჩართული, მაგალითად შუახევი ჰესის პროექტშიც ჩართული და ვანხეთ, დაინგრა ხო? ანუ, ჩართული იყვნენ ერთია მაგრამ რა წერია და რა შეისწავლეს – მეორეა. როდესაც ჩვენ დავწერეთ შენიშვნები, ისინი არ არის პასუხგაცემული, მაშინ მოდი დადგენ და გაგვცენ პასუხი ამ ექსპერტებმა. ეს ჩვენთან ჩამოყალიბდა, რომ რადგან რაღაც ბანკი მონაწილეობს, ყველაფერი არის კარგად, არ არის ყველაფერი კარგად და მით უმეტეს არ არის სათანადოდ შეფასებული თუნდაც ის მოვლენები, რა მოვლენებიც განვითარდა ბაფხუში არსად არ ეწერა საერთოდ, თუნდაც ბოლო კვლევებში, მაგრამ ხომ მოხდა?!

ახლა საერთოდ ახალი პროცესი მიმდინარეობს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ნენსკრა ჰესს შეჩერებული აქვს მშენებლობის ნებართვა იმის გამო, რომ შეცვალა სამშენებლო ტექნიკური პარამეტრები პროექტის და მათაც დაინყეს, უფრო სწორად სკრინინგის ეტაპზე არიან ახალი ნებართვის აღების პროექტში.

ჩვენ ვითხოვთ, არ დავუშვათ კომპანიის მიერ დაქირავებული ექსპერტების ჩართვა, არამედ ვითხოვთ გარემოს ზემოქმედების დამოუკიდებელი კომისიის ჩართვას, ვგულისხმობ ჰოლანდიის გარემოს ზემოქმედების კომისიას, რომელიც არის დამოუკიდებელი ძალიან ავტორიტეტული ორგანიზაცია მსოფლიოში და რომელსაც არაერთი შეფასება ავს გაკეთებული", - აცხადებს "პირველთან" საუბრისას გარემოს დამცველი.

გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი ნენსკრა ჰესის მშენებლობით ქვეყანაში ეკო მიგრანტების რაოდენობის გაზრდას გამოიციხავს.



"მდინარე ნენსკრას ხეობაში ნენსკრა ჰესის მშენებლობა ეკო მიგრანტების ოდენობას ქვეყანაში არ გაზრდის რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჰიდროტექნიკური ნაგებობა - ჰესი, არ შედგება ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებისა და სტანდარტების სრული დაცვით. ამასთანავე მშენებლობა ექსპიულატაცია უნდა წარიმართოს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ", - განაცხადა გაფრინდაშვილმა "პირველთან" საუბრისას.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში თუკი სტანდარტები დაირღვა და ჰესის გამო ეკომიგრანტების საკითხი დადგა "პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ოპერატორმა კომპანიამ, ვისიც არის ჰესი, ვინც აშენებს, ვინც პროექტი შეადგინა და ვინც მშენებლობა განახორციელა".

საქართველოს სხვა რეგიონებში ეკომიგრანტთა ძალზედ დიდი რაოდენობა სვანეთიდან - 1987 წელს სვანეთი ყველაზე მძიმე ზამთრის მოწმე გახდა. იანვარში რამდენიმე სოფელი 3-დან–5 მეტრამდე თოვლის საფარქვეშ აღმოჩნდა. თოვლის სიმაღლე იმდენად დიდი იყო, რომ დაახლოებით 2000 სახლი ზვავის ქვეშ მოჰყვა, ხოლო 85 ადამიანი გარდაიცვალა. განსაკუთრებით დაზარალდა მესტიის (ზემო სვანეთი) და ლენტეხის (ქვემო სვანეთის) რაიონები. გზები ჩაიკეტა, სოფლებთან კავშირი გაწყდა, კომუნიკაციის ყველა საშუალება მწყობრიდან გამოვიდა. რისკის ზონიდან 16 000 ადამიანი იქნა ევაკუირებული. მათი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეებში გადანაწილდნენ.

კლიმატის ცვლილებები და მათგან გამონვეული ბუნებრივი კატასტროფები 21-ე საუკუნის ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგეს. ბუნებრივი კატასტროფების სრულად თავიდან აცილება შეუძლებელია. თანამედროვე კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა კი მათი რისკების შემცირება და თანმხლები უარყოფითი შედეგების შერბილებაა.